

F 18-273  
2

275  
339



კომუნისტური პარტია (ბალშევიკი)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



3335 (063)

353 (47.922) (8)

საბუბარნიო ტათბირი

ქ. თბილისში

და დაბენილება

ვიჯის უბანსა.


Handwritten marks and numbers on the left margin

ქვეყნის	
ნომერი	275
კატეგორია	339
ფენის	
სტანდარტი	<del>275</del>

# საბუბერნიო თათბირი თფილისში.

თანხმათ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბალშევიკების) კავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებისა 8—9 მარტს ქ. თბილისში მოხდა თფილისის გუბერნიის სოფლის ამხანაგების თათბირი. ვინაიდან პარტიული ორგანიზაცია ბალშევიკებისა თფილისის გუბერნიაში სოფლად თითქმის არსად არსებობს, ამიტომ თათბირზე გამოსაგზავნი წარმომადგენლები არჩეულ იქნენ პირდაპირ სოფლების თანამგრძნობ ამხანაგების კრებებზე. სამწუხაროთ, დიდი ნაწილი წარმომადგენლებისა რამდენიმეთ სიჩქარის და რამდენიმეთ იმ მძიმე პირობების გამო, რომლებშიაც დღეს ჩვენი ქვეყანა იმყოფება, თათბირს ვერ დაესწრო. თათბირზე გამოცხადდნ წარმომადგენლები გორის, დუშეთის და ბორჩალოს მაზრების სხვა და სხვა სოფლებიდან, თელავის მაზრის წარმომადგენელი თათბირის გათავების შემდეგ ჩამოვიდა. გარდა ამისა თათბირს დაესწრო ქ. ალექსანდოპოლიდან ჩვენი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი. საერთოთ თათბირს დაესწრო 20 25 დელეგატი.

თათბირი გახსნა კავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელმაც კრებას განუმარტა მოკლეთ დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა და ის როლი, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ დააკისრა კომუნისტურ პარტიას (ბალშევიკებს). შემდეგ იგი შეეხო იმ გარემოებას, რომ ახეთ უდამტრელ წუთში ჩვენ არ გავვანია სოფლად პარტიული ორგანიზაციები, რაც მიწის მუშების (ვლებების) საქმეს მჭაათ აბრკოლებს. ამიტომ მან მოუწოდა ამხანაგ ვლებებს, რომ რაც შეიძლება დაჩქარებულ იქნას მკვიდრი პარტიული ორგანიზაციების შექმნა ყოველგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იქნება. დასასრულ მან აღნიშნა ის კითხვები, რომლებშიც თათბირს წარედგინა განსახილველი. აი ეს კითხვები:



1) მოხსენებები ადგილებიდან; 2) მიმდინარე მომენტი; 3) მიწის საკითხის გადაჭრა; 4) მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოების მოწყობა-დაარსება სოფლად; 5) პარტიული ორგანიზაციების მოწყობა; 6) სოციალისტური არმია; 7) სხვა და სხვა კითხვები.

ვინაიდან ამხანაგები ჩქარობდნენ, თათბირმა დაამთავრა თავისი მუშაობა ერთ დღე და ღამეში, რომლის განმავლობაში ის თითქმის შეუწყვეტლათ მუშაობდა. მიუხედავად ამისა, თათბირმა თითქმის შესძლო წამოყენებული კითხვების განხილვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, მეტათ საინტერესო აღმოჩნდა მოხსენებები ადგილებიდან. უწინარეს ყოვლისა მოხსენებიდან ნათლათ გამოირკვა, რომ მენშევიკებმა თითქმის ყოველგან სავსებით დაკარგეს ხალხში ყოველივე ნდობა, რომ ეს პარტია აწარმოებს დღეს ნამდვილ ომს გლეხობის წინააღმდეგ თოფ-ზარბაზნებით და ტყვიის მურქვევლებით; ერთი სიტყვით, მენშევიკები იმორჩილებენ მასსას შტიკების საშუალებით; ამიტომ ხალხი ჩქარა დარწმუნდა იმაში, რომ მენშევიკებმა უღალატეს პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის რევოლუციონურ დროშას. ამიტომ გასაკვირალი არაა, თუ ხალხი დღეს მენშევიკებს ზიზღით შეყურებს. თავისთავათ იგულისხმება, რომ მენშევიკების ასეთი გაკოტრება ნიშნავს იმავე დროს ბალშევიკების გამარჯვებას. მართლაც, თუ არის ისეთი პარტია, რომელსაც დღეს სოფლის ხალხი ნდობით უყურებს, ეს ბალშევიკების პარტიაა. მშრომელი მასსა სინამდვილემ დაარწმუნა იმაში, რომ მხოლოდ ბალშევიკების პარტია იცავს ბოლომდის მუშების და გლეხების ინტერესებს და ამიტომ ჩვენი სოფელი თითქო ელკის სისწრაფით გაბალშევიკდა.

ამ მოვლენას აქვს როგორც კარგი, დადებითი, ისე ცუდი, უარყოფითი მხარე. მართლაც გლეხობის უმრავლესობის გაბალშევიკება, ე. ი. იმ პარტიის მხარეზე გადასვლა, რომელ-

ლიც სავსებით იცავს მხოლოდ მუშების და უღარიბეს გლეხ-  
კაცობის ინტერესებს, ნიშნავს გლეხების გამოფხიზლებას  
სწორ გზაზე დადგომას. მეორე მხრით სოფლად გამოცდილი  
და მომზადებული ხელმძღვანელი, პროპაგანდისტი და აგი-  
ტატორი იშვიათათ მოიძებნება; ამიტომ ბალშევიკურათ მო-  
ახროვნე მას.ა თავის მოქმედებაში უმეტეს ნაწილათ უხელ-  
მძღვანელოთ, უპროპაგანდისტოთ რჩება, და ამას არ შეიძლე-  
ბა ცუდი შედეგი არ მოყვეს, მით უფრო, რომ თითქმის არც  
ერთ სოფელში დღემდის ჩვენი პარტიული ორგანიზაცია არ  
არსებობდა. დღეიდან ასეთი ორგანიზაციების შექმნა აუცი-  
ლებელ საჭროებას შეადგენს.

მოხსენებიდან გამორკვა, რომ ხალხი სავსათოთ, ე. ი.  
გლეხკაცობა სრულიად უარყოფით უყურებს ამიერ-კავკასიის  
მთავრობას კომისარიატის და სეიმის სახით. ხალხს ის  
კონტრ-რევოლუციონურათ მიაჩნია, ე. ი. მდიდრების ინ-  
ტერესების გამომზატველ ორგანოთ, რომლისაგან იგი არა-  
ფერს კარგს თავისთვის არ მოელის. სეიმის მიერ გამოცე-  
მული კანონი მიწის შესახებ გლეხობას სრულებით არ აკ-  
მაყოფილებს, გლეხებთ სამართლიანათ ხედავენ იმაში მხო-  
ლოთ მემამულეების ინტერესების დაცვას. ამხანაგ-მომხსენებ-  
ლებმა ხაზგასმით აღნიშნეს ის გარემოება, რომ მიწის ჩამორ-  
თმევა (კონფისკაცია) გლეხების მიერ უმეტეს ნაწილათ უკვე  
მომხდარა ისე, როგორც ოვით გლეხების ინტერესებს შეე-  
ფერება. სეიმის კანონი ქაღალდზე რჩება. ახლათმოვლენილი  
მიწათმოქმედების სამინისტრო და მისი აურაცხელი ჩინოვ-  
ნიკები ტყუილათ იწუხებენ თავს.

თათბირის დროს ამიერ-კავკასიის „დამოუკიდებლობა“  
ჯერ კიდევ გამოცხადებული არ იყო. მეორე მხრით თავის  
მოხსენებში ამხანაგებმა ხაზგასმით გვიჩვენეს, თუ როგორ  
უყურებს თფილისის გუბერნიის გლეხობა ამ საკითხს: ხალ-  
ხი გადაჭრით წინააღმდეგია რუსეთიდან ჩამოშორების. ამიერ  
კავკასიის სეიმის პოლიტიკა მას დიდ უბედურებათ და დამ-

ღუპველათ მიაჩნია. რუსეთთან და რუსის ხალხთან შეკავშირებულია ჩვენი ხალხი იდეურათ, კულტურულათ და ეკონომიურათ. აშკარაა, რომ ამ საკითხში ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაუპერს მხარს დღევანდელ მთავრობას. ხალხმა იცის, რომ რუსეთიდან ჩამოშორება ნიშნავს ოსმალეთის კლანჭებში მოყოლას. ამას ხალხი არ აპატიებს დღევანდელი მთავრობის მეთაურებს, ე. ი. მენშევიკებს.

## დადგენილება მიწის უსახსებ

მიწის საკითხის სამართლიანათ გადაჭრა უნდა მოხდეს შემდეგ საფუძველზე.

1. ყველა მიწები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ამიერიდან მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენს.

მიწის ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირაება ან სხვა ნაირათ გადაცემა სამუდამოთ ისპობა.

2. ყველა მიწები: სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო (რომანოვების გვარეულობის), კერძო მემამულეთა და სხვ. უსასყიდლოთ უნდა იქნან ჩამორთმეული და გადაცემული ხალხზე.

3. კერძო მესაკუთრეთა ყველა მიწები და აგრეთვე ყველა საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მიწები ყოველგვარი შენობებით, სამეურნეო იარაღებით და მუშა საქონლით გადადის გლეხთა დემუტატების სასოფლო, სარაიონო ან საგუბერნიო საბჭოების განკარგულებაში იმის მიხედვით, თუ რა ხასიათი ან რა მნიშვნელობა აქვს ამ მიწებს.

4. გლახთა დეპუტატების სასოფლო, სარაიონო, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები დებულობენ ყოველგვარ ზომებს, რათა დაცული იქნას სრული წესიერება მემამულეთა მიწების ჩამორთმევის (კონფისკაციის) დროს იმის გამოსარკვევად და განსაზღვრავათ, თუ რაწაირი ან რა ზომის მიწები უნდა იქნან ჩამორთმეული, და ამასთანავე ყველა მიწების, როგორც ჩამორთმეულ, ისე წინანდელ მფლობელთა სარგებლობაში დატოვებულ მიწების სწორი და მართალი სიის შესადგენათ და მთელი ამ ქონების დასაცავათ.

რაიმე ზიანის მიყენება ჩამორთმეული ქონებისთვის, რომელიც ამიერიდან მთელი ხალხის საკუთრებას შეადგენს, უდიდეს დანაშაულათ ითვლება და დამნაშავე რევოლიუციონური სამჯავროს მიერ უნდა იქნას გასამართლებული.

5. ვინც აგრარული (მიწის) რევოლიუციის გამო დაზარალდება ისე, რომ ცხოვრების სახსარს მოკლებული დარჩება, ყველა ასეთ პირებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ დახმარებაზე იმ ხნის განმავლობაში, სანამ ისინი არსებობის ახალ პირობებს შეეგუებიან.

6. მიწის გულის სიმდიდრე: სხვადასხვა მადნეულობა, ნავთი, ნახშირი, მარილი და სხვ. და აგრეთვე ისეთი ტყეები და წყლები. რომელთაც საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ, გადადის მთელი ხალხის ან ქვეყნის განსაკუთრებულ სარგებლობაში. ყველა პატარა მდინარეები, ტბები, ტყეები, საძოვ-

რები და სხვ. გადადის ადგილობრივ საზოგადოებათა სარგებლობაში.

7. ის მიწები, რომლებზედაც გაშენებულია ძვირფასი მცენარეულობა: ბაღები, ვენახები, პლანტაციები ჩაის, თამბაქოს, დაფნის და სხვ., სანერგეები, ორანჟერეები და სხვ. არ უნდა იქნან დაყოფილი, არამედ ისინი უნდა გადააქციონ სანიმუშო ანუ სამაგალითო დაწესებულებებათ. ასეთი მიწები გადადიან ან მთელი ხალხის (ქვეყნის) ან ადგილობრივ საზოგადოებათა განსაკუთრებულ სარგებლობაში იმის მიხედვით, თუ რა ზომის და მნიშვნელობის არიან.

8. ეზოები, როგორც ქალაქში, ისე სოფელში პატარა შინაური ბაღებით და ბახჩებითურთ, რჩებიან დღევანდელ მფლობელთა სარგებლობაში. საეზოე ნაქრების ზომას და ამ ნაქრების სარგებლობისათვის გადასახადის რაოდენობას არდგენენ გლეხთა დეპუტატების რაიონული (სამაზრო) ან საგუბერნიო საბჭოები.

9. ჩამორთმეულ მიწებზე აგებული შენობები ყოველივე სამეურნეო იარაღით და მუშა საქონელით გამოუყიდავათ გადადის ან მთელი ხალხის (ქვეყნის) ან ადგილობრივ საზოგადოებათა განსაკუთრებულ სარგებლობაში იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა მათ აქვთ.

10. დიდი წისქვილები, რომელთაც სამრეწველო ხასიათი აქვთ, დღევანდელ მფლობელებს უნდა ჩამოერთვათ და საზოგადოებათა განკარგუ-

ლებაში გადავიდნენ. ამის გამო გამოწვეული ზარალი საზოგადოებამ უნდა აუნაზღაუროს კერძო პირებს სამართლიანი შეფასების კვალობაზე. პატარა წისქვილები კი დღევანდელ მფლობელთა ხელში რჩება.

11. ხე-ტყის ქარხნები აუცილებლათ უნდა ჩამოერთვათ დღევანდელ მფლობელთ და გადავიდნენ გლეხთა დეპუტატების სასოფლო ან რაიონულ საბჭოთა განკარგულებაში, რომლებმაც საზოგადოებრივი წესით უნდა განაგრძონ ეს წარმოება.

12. მიწით სარგებლობის უფლება ეძლევა ყველა მოქალაქეთ, განურჩევლათ სქესისა, რომელთაც მიწის დამუშავება სურთ თავისი შრომით, ოჯახის წევრების დახმარებით ან საამხანაგოთ და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ იმათ შეუძლიათ მიწის დამუშავება, ვინაიდან დაქირავებული შრომა სოფლის მეურნეობაში ამიერიდან აკრძალულია.

13. თუ საზოგადოების რომელიმე წევრი დაავადმყოფდა და უძღური შეიქნა მუშაობისთვის, საზოგადოება დახმარებას უწევს ასეთ წევრს მის ხვედრი მიწის დამუშავებაში.

14. იმ ყოფილ მემამულეთ, რომელთაც სიბერის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სამუდამოთ დაკარგეს თავისი საკუთარი შრომით მიწის დამუშავების უნარი, მიწის მიღების უფლება ეკარგებათ და ამის მაგიერ საზოგადოებიდან ისინი იღებენ დაკმაყოფილებას პენსიის სახით საჭიროების კვალობაზე.

15. მიწით სარგებლობა ყველა მშრომელთათვის თანასწორი უნდა იყოს, ე. ი. მიწა ეძლევა

მშრომელთ საჭიროების მიხედვით. მიწის სარგებლობის ფორმა კი ისეთი უნდა იყოს, როგორც ამას სასურველათ დაინახავენ თვით გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

16. ყველა მიწები ჩამორთმევის შემდეგ გადადის მთელი ხალხის მიწების საერთო ფონდში. ამ მიწების განაწილებას სარგებლობისთვის მშრომელთა შორის განაგებენ გლეხთა დეპუტატების ცენტრალური, რაიონული ან ადგილობრივ საზოგადოებათა საბჭოები.

მიწების ფონდი დროგამოშვებით ხელახლა იყოფა მცხოვრებთა ზრდის, სამეურნეო ტექნიკის და საზოგადოთ საწარმოვო ძალთა განვითარების მიხედვით. საზღვრების შეცვლის დროს სასურველია, რომ დავდაპირველათ მიცემული ან დატოვებული მიწა ხელუხლებელი დარჩეს.

17. იმ წევრების მიწები, რომლებიც სოფლის ტოვებენ, ისევ ბრუნდება მიწის საერთო ფონდში. ამ მიწების მიღების უპირატესობა ეძლევათ იმ პირების მახლობელ ნათესავეებს, რომლებსაც ისინი წინეთ ეჭირათ, ან იმ პირთ, რომელთაც ისინი დაასახლებენ.

18. თუ მიწის გასაუმჯობესებლათ და გასაპოხიერებლათ გაწეული სხვადასხვა ხარჯი მიწის უკან დაბრუნებამდე სავსებით განაღდებული არ იქნა, საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს ასეთ წევრს გაწეული ხარჯების ნაწილი შეფასების კვალობაზე.

19. თუ რომელსამე ადგილას ან სოფელში მიწების არსებული ფონდი ვერ აკმაყოფილებს ყველა ადგილობრივ მცხოვრებლების საჭიროებას, იმ შემთხვევაში ზედმეტი მცხოვრებლები, თანახმათ იმათი სურვილისა ან ადგილობრივ საბჭოს დადგენილებისა, შეიძლება გადასახლებულ იქნან სხვა ადგილას.

გადასახლების ორგანიზაცია, აგრეთვე გადასახლების გამო გამოწვეული ხარჯები, როგორც, მაგ., გზის ხარჯი, სამეურნეო იარაღების მიწოდება და სხვ., უნდა იტვირთოს გლეხთა დეპუტატების ცენტრალურმა საბჭომ.

თვით გადასახლება ხდება ასეთი წესით: პირველათ მიდიან მსურველები, და თუ ასეთები აღარ ჩნდებიან, იმ შემთხვევაში საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა გადასახლდეს, უნდა გადაიჭრას ან ურთიერთ შეთანხმებით ან წილის ყრით.

20. წვრილ გლეხკაცობას მიწები არ ჩამოერთმევა. ეს მიწები მხოლოდ შეტანილი იქნება მიწეცხრის საერთო ფონდში.

21. ყოფილ მემამულეებს მიწა ეძლევათ სარგებლობისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავის შრომით ან თავისი ოჯახის წევრების დახმარებით აწარმოებენ ამ მიწაზე მეურნეობას, რაც შეესება იმას, თუ რამდენი მიწა უნდა დარჩეს ყოფილ მემამულეებს სარგებლობაში, ამას სწვევტენ გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები თანახმათ „მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონისა“ ..

22. სოფლის ყველა წევრი, ვინც მიწით გებლობს, სულ ერთია ეს მიწა წინეთ მის კერძო საკუთრებას შეადგენდა, თუ ახლა აქვს მას საერთო ფონდიდან მიღებული, — იხდის მიწის გადასახადს იმის კვალობაზე, თუ რამოდენი მიწა უჭირავს. ეს გადასახადი შედის გლეხების საბჭოთა ფონდში.

მიწის გადასახადის ნორმას იმუშავენ გლეხთა დეპუტატების ცენტრალური (საგუბერნიო) საბჭო, რომელიც იმავე დროს საზღვრავს, თუ როგორ უნდა განაწილდეს მიწის გადასახადი ცენტრალურს და ადგილობრივ საბჭოთა შორის.

23. გლეხთა დეპუტატების ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოები დაუყონებლივ უნდა შეუდგენ ყოველგვარ ზომების მიღებას, რათა სოფლის მეურნეობის ნაყოფიერება გაიზარდოს და განვითარდეს, რათა საშვალეობა მიეცეს უღარიბეს გლეხებს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების ხმარების, მიწის გასაუმჯობესებელ და გასაპოხიერებელ საშუალებათა მიწოდებით და სხვ...

24. კოლექტიური წარმოების განვითარების დასაჩქარებლათ და სოციალიზმის განსახორციელებლათ ნიადაგის მოსამზადებლათ გლეხების დეპუტატების საბჭოები უღარიბეს გლეხებიდან ადგენენ ამხანაგობებს დიდი მინდვრების კოლექტიური შრომით დასამუშავებლათ. ასეთ ამხანაგობებს ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ, რათა მიწის დამუშავებაში გამოიყენონ აგრონომიული მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა.

25. მიწის საკითხის საბოლოო მოსაწესრიგებლათ დაუყონებლივ უნდა იქნეს მოწვეული, როგორც თფილისის გუბერნიის, ისე მთელი გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა. ეს ყრილობა დაწვრილებით გამოიმუშავებს ყოველგვარ მიწის სარგებლობის წესებს, დაადგენს იმ ნორმას, რომლის ზევით სასარგებლოთ მიწა არავის უნდა მიეცეს; ამავე ყრილობამ უნდა განსაზღვროს მიწის გადასახადის რაოდენობა, მან უნდა მიიღოს ყოველივე ზომები აგრონომიული დახმარების მოსაწყობათ და სხვ. და სხვ.

26. მიწის რეფორმას ანხორციელებს თითონ ხალხი მის მიერ არჩეულ საბჭოების, ე. ი. გლეხების დეპუტატების საბჭოების საშუალებით. ის უნდა გატარდეს ცხოვრებაში მწყობრათ, ორგანიზაციულათ, სრული სამართლიანობის დაცვით. თავისთავათ იგულისხმება, რომ მიწის რეფორმის გატარების დროს არავითარ ექსცესს, არავითარ შურისძიებას ადგილი არ უნდა ექნეს.

აი ის მთავარი დებულებები, რომლებიც საფუძვლათ ედება მიწის რეფორმას. უფრო დაწვრილებით ისინი განმარტებულია „მიწის სოციალიზაციის ძირითად კანონში“.

## გლებთა დეპუტატების საზოგადოების შესახებ.

### გლებთა დეპუტატების საბჭოთა ორგანიზაცია.

1. საბჭოთა ძირითადი ორგანიზაცია იწყებს სოფლის საზოგადოებრივად. თითოეული საზოგადოება (ერთი ან რამდენიმე სოფლების ჯგუფი) თითოეულ ორმოცდაათას კაცზე ირჩევს ერთ დეპუტატს პრეზიდენციონალური სისტემით საყოველთაო, თანასწორო, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრის საფუძველზე, საარჩევნო უფლება უქონელია 18 წლიდან ვეკლამაქს განუჩივლათ სქესისა.

2. საზოგადოებების საბჭოთა ვეკლამა დეპუტატების ყრილობა (სიესდი) ირჩევს გლებთა დეპუტატების სამხრო საბჭოს.

შენიშვნა: იმ რაიონებში, სადაც მუშათა დეპუტატების საბჭოები არსებობენ, სამხრო საბჭოს გარდა, შეიძლება დაარსდეს გლებთა დეპუტატების რაიონული საბჭო, მაგ. მიხაილოვში, ბორჯომში ღმ სხვ., რომელიც გლებების საბჭოებთან ერთად შეადგენენ მუშათა და გლებთა დეპუტატების საბჭოებს.

3. გლებების და მუშების სამხრო და რაიონულ საბჭოთა ვეკლამა დეპუტატების ყრილობა (სიესდი) ირჩევს მუშების და გლებების საკუბერნიო საბჭოს.

4. გლებთა დეპუტატების რაიონული, სამხრო და საკუბერნიო საბჭოები უთანხმებენ თავიანთ მტკმდებანს მუშათა დეპუტატების საბჭოებს, სადაც კი ასეთები არსებობენ, მით, რამ ირჩევს საერთო აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც დაყოფილ იქნება მუშათა და გლებთა სექციებათ.

5. ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოებს ირჩევენ მხოლოდ იქ, სადაც ჯარი ჯერ კიდევ გაუქმებული არაა, ე. ი. სადაც არსებობენ სამხედრო ნაწილები, მაგ. პოლკები, ბატალიონები და სხვ.

შენიშვნა. ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები შედიან ან მუშების და ან გლეხების დეპუტატების საბჭოებში და არა შემთხვევაში ისინი არ აარსებენ ჯარისკაცთა საკუთარ საბჭოებს.

6. სადაც ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოება არსებობენ, იქ ისინი უერთდებიან გლეხების და მუშების დეპუტატების საბჭოებს და ირჩევენ ერთ ხელმძღვანელ ადმინისტრატორულ კომიტეტს, რომელიც იყოფა მუშების, გლეხების და ჯარისკაცების სექციებათ.

7. გლეხთა დეპუტატების საბჭოთა არჩევაში სმის მიტეხის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომელიც თავის შრომით მიწას ამუშავებს მიუსხედავთ ჩამომავლობისა; მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევაში სმის მტეხის უფლება აქვს ყველა დაქარავებულ მუშას, ვარდა ფაბრიკა-ქარხნის მატრონებისა, გამკეებისა და დმინისტრაციის მოსულებისა; ჯარისკაცების დეპუტატების საბჭოთა არჩევნებში სმის უფლება აქვს ყველა სამხედრო პირებს.

8. გლეხების, მუშების და ჯარისკაცების საბჭოთა დეპუტატთა შეიძლება არჩეული იქნას ყველა მოქალაქე, განურჩევლათ სქესისა, ჩამომავლობისა და წარმოებისა.

9. ამჩვევლებს სრული უფლება აქვთ უკან გამოიწვიონ საბჭოში მათ მიერ გაგზავნილი დეპუტატი ვადის განსულამდე, თუ ეს უკანასკნელი თავის მოვალეობას ღირსეულათ ვერ ასრულებს.

10. საბჭოს ხელახალი არჩევნებია ხდება ყოველ 4—6 თვეში ერთხელ.

**საბჭოთა ძალა-უფლება.**

1. შთელი ძალა-უფლება საბჭოების და იმათ მიერ შექმნილ ორგანოების ხელშია.

2. უკვლავ დაწესებულებები და ორგანიზაციები, როგორც, მაგ., ქალაქის თვითმმართველობები თუ ერობები, ან უქმდებთან ან სხვებით ემორჩილებიან საბჭოთა მთავრობას. საბჭოები გამოიყოფენ თავიანთ წრიდან სხვა და სხვა სექციებს ან კომისიებს ამა თუ იმ დარგის საქმეების გასაძღვლათ; ამ კომისიებს ანუ სექციებს უფლება ეძლევათ მოაწვიონ მტრდნე შიკები. სექციები გაშაიუთვას შემდეგი ფუნქციების შესასრულებლათ:

ა) აგროარული (ანუ მიწის) სექცია— განაგებს მიწის ფენდს და გაუავს ცნაფრებაში მიწის რეფორმასთანხმათ მიწის სოციალიზაციის კანონის და ცენტრალურ საბჭოს დადგენილებათა.

ბ) სასურსათო საქმის მოწყობა. სასურსათო სავსების შემოტანა, ავჯიფობრავათ დამზადება და განაწილება.

გ) კულტურულ-განმანათლებელი საქმეები. სწავლა-განათლება, ლიტერატურა, ხელფუნება, თეატრი, მუზეუმები და სხვა და სხვა.

დ) მართლ-მსაჯულების საქმე.

ე) ადმინისტრაციული საქმეები: საზოგადოებრივი წესიერების და მშვიდობიანობის დაცვა, სახალხო მილიციის ან სოციალისტური წითელი ჯარის მოწყობა და მართვა.

ზ) მიმოსვლის, გზების, ფოსტა-ტელეგრაფის საქმეები.

ი) სამკურნალო და ჯან-მთელობის საქმე.

3. უკვლავ სექციების ფუნქციებს დაწვრილებით იმუშავებს მუშების, გლეხების და ჯარის კაცების დეპუტატების ცენტრალური საბჭო ან საბჭოების ყრილობა (სიეზდი).

რ. 01-1  
2  
582.411

